

ტესტი გეოგრაფიაში

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის თითოეული დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტზე მუშაობისას გამოიყენეთ თანდართული რუკები.

გაითვალისწინეთ, თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 55.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!





➤ კითხვა არჩევითი პასუხებით - დავალება № 1-16

ინსტრუქცია

თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

(1) 1. რის ჩანაწერს აკეთებს აღნიშნული ხელსაწყო?



- ა) წყლის ხარჯის;
- ბ) სეისმური რხევის;
- გ) ატმოსფერული წნევის;
- დ) შეფარდებითი ტენიანობის.

(1) 2. რა ეწოდება ჰაერის მასას, რომელსაც გააჩნია 100-დან 1000 კმ-მდე დიამეტრის ვერტიკალური ღერძი, მის ცენტრალურ ნაწილში დაბალი ატმოსფერული წნევის არეა, იგი ყალიბდება ჩ.გ. 23° და ს.გ. 23° შორის, ახასიათებს მაღალი ბარიული გრადიენტი და ძლიერი ქარი, რომელიც ხშირად ქარიშხალში გადაიზრდება?

ა) მაღალი ანტიციკლონი;

ბ) დაბალი ანტიციკლონი;

გ) ტროპიკული ციკლონი;

დ) პოლარული ციკლონი.

(1) 3. რა ეწოდება განსხვავებული ფიზიკური თვისებების მქონე ჰაერის მასებს შორის არსებულ მეტ-ნაკლებად ვიწრო გარდამავალ ზონას, რომელიც წარმოიქმნება ატმოსფეროს ქვედა ფენებში ცივი და თბილი ჰაერის მასების ურთიერთ მიახლოებისას?

ა) ციკლონი;

ბ) ანტიციკლონი;

გ) ატმოსფერული ფრონტი;

დ) მეტეოროლოგიური დეპრესია.

(1) 4. თუ სახლიდან სკოლაში მიმავალი მოსწავლე 225° აზიმუტით მოძრაობს, მაშინ რა აზიმუტით იმოძრაებს იგი უკან, სახლში დაბრუნებისას?

ა) 45°

ბ) 90°

გ) 180°

დ) 225°

(1) 5. რას ვერ დავადგენთ გლობალური პოზიციონირების (ადგილმდებარეობის) განმსაზღვრელი სისტემის, GPS-ის საშუალებით?

ა) გეოგრაფიულ კოორდინატებს;

ბ) ჰორიზონტის მხარეებს;


გ) აბსოლუტურ სიმაღლეს;

დ) მიწისძვრის სიმძლავრეს.

(1) 6. რელიეფის რომელი ფორმაა გლაციალური წარმოშობის?



(1) 7. სქემაზე რომელი ციფრით არის აღნიშნული გრუნტის წყალი?



ა) 1

ბ) 2

გ) 3

დ) 4

(1) 8. ყველაზე ნაკლებად რის ცვლილებას გამოიწვევს გლობალური დათბობა?


ა) რელიეფის მეგა ფორმების;

ბ) ფლორის სახეობების;

გ) მთის მყინვარების ფართობის;


დ) ატმოსფერული ნალექების რაოდენობის.

(1) 9. რა არის აღნიშნული ისლანდიის რუკაზე?




- ა) ტექტონიკური ფილების გამყოფი არე;
- ბ) ჰავის ოლქებს შორის საზღვარი;
- გ) ეროვნული პარკების დამაკავშირებელი გზა;
- დ) გადამფრენი ფრინველების მოსასვენებელი არეალი.

(1) 10. რომელი ენის გავრცელებაა ნაჩვენები რუკაზე?



- ა) ინგლისური;
- ბ) ესპანური;
- გ) გერმანული;
- დ) ფრანგული.


(1) 11. რომელი სახელმწიფოს სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურას ასახავს მოცემული დემოგრაფიული პირამიდა?



- ა) ჩინეთის;
- ბ) მონაკოს;
- გ) კენიის;
- დ) კანადის.

(1) 12. რომელი სახელმწიფოს ეკონომიკის სტრუქტურას ასახავს მოცემული დიაგრამა?

მშპ-ის განაწილება ეკონომიკის სექტორების მიხედვით



- ა) იაპონიის;
- ბ) ესპანეთის;
- გ) ავღანეთის;
- დ) ავსტრალიის.

(1) 13. რომელი სახელწოდება არ შეესაბამება კომუნალურ მომსახურებას მოკლებულ, ძირითადად უკანონო და არაფორმალური საცხოვრებლებით შექმნილ უბნებს დიდ ქალაქებში?



- ა) სითი;
- ბ) ფაველა;
- გ) ბიდონვილი;
- დ) შენთი თაუნი.

(1) 14. 2019 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით საქართველოში აწარმოეს დაახლოებით 107 ათასი ტონა ხორბალი, იმპორტით კი შემოიტანეს 493 ათასი ტონა. განსაზღვრეთ, ხორბალზე მოთხოვნის დაახლოებით რამდენ პროცენტს აკმაყოფილებს შიდა წარმოება?


ა) 11%

ბ) 18%

გ) 24%


დ) 29%

(1) 15. რას უტოლდებოდა 2018 წელს საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა დიაგრამაზე ასახული მონაცემებით?



- ა) 3 155 442 კაცი;
- ბ) 3 317 380 კაცი;
- გ) 3 517 301 კაცი;
- დ) 3 727 234 კაცი.

(1) 16. რომელ წელს იყო საგარეო სავაჭრო ბრუნვის მაჩვენებელი ყველაზე მეტი დიაგრამის მონაცემებით?









➤ შესაბამისობის დადგენა - დავალება № 17-20

ინსტრუქცია

დაადგინეთ შესაბამისობა დავალებაში მოცემულ ორ ჩამონათვალს შორის. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში. თითოეულ ასოს ქვემოთ მიუწერეთ შესაბამისი ციფრი. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

(2) 17. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამოერება არ არის შესაძლებელი):

იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლი

<p>დიდი ბარიერული რიფი</p>  <p>ა)</p>	<p>ბ)</p>  <p>უდაბნო დემთე-ლუთი</p>	<p>გ)</p>  <p>რედვუდის ეროვნული პარკი</p>
<p>ბელოვეჟის ტევრი</p>  <p>დ)</p>	<p>ე)</p>  <p>ნასკას გეოგლიფები</p>	<p>დიდი რიფტული ხეობა</p>  <p>ვ)</p>

ძეგლის ადგილმდებარეობა

1	2	3	4	5	6	7
აზია	ანტარქტიდა	აფრიკა	ავსტრალია და ოკეანეთი	ევროპა	სამხ. ამერიკა	ჩრდ. ამერიკა












(2) 18. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამოორება არ არის შესაძლებელი):

	ქალაქი		გეოგრაფიული კოორდინატები
ა	მონტევიდეო	1	ჩ.გ. 52°31' ა.გ. 13°23'
ბ	ადის-აბება	2	ს.გ. 82°46' დ.გ. 65°15'
გ	ოტავა	3	ს.გ. 41°17' ა.გ. 174°46'
დ	ველინგტონი	4	ჩ.გ. 9°01' ა.გ. 38°44'
ე	ბერლინი	5	ს.გ. 34°52' დ.გ. 56°10'
		6	ჩ.გ. 78°58' ა.გ. 20°06'
		7	ჩ.გ. 45°25' დ.გ. 75°41'

(2) 19. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამოორება არ არის შესაძლებელი):

	განმარტება		ტერმინი
ა	დედამიწის ქერქის დაძირული უბანი, რომელიც ციცაბო ან ვერტიკალური წყვეტებით (ნასხლეტებით) შემოფარგლულ მონაკვეთს წარმოადგენს;	1	კალდერა
ბ	ვულკანური წარმოშობის ვრცელი ქვაბული, რომელსაც აქვს ოვალური ან წრიული ფორმა, ზოგან საფეხურიანი ფერდობებით;	2	ატოლი
გ	ქარის მოტანილი და მცენარეებით გაუმაგრებელი ფხვიერი ქვიშის დანაგროვი ბორცვი ან გორაკი უდაბნოში;	3	ჰორსტი
დ	ვაკის მდინარის მოსაბრუნე კლაკნილები, რომელთა რადიუსი მდინარის წყალუხვობასა და სიჩქარეზეა დამოკიდებული;	4	გრაბენი
ე	წრიული ფორმის მარჯნის კუნძული, რომლის შიგნით იზოლირებული, ან სრუტეებით ოკეანესთან (ზღვასთან) დაკავშირებული ლაგუნაა.	5	მეანდრი
		6	მორენა
		7	ბარხანი

(2) 20. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამოჩენა შესაძლებელია):


საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი ქვეყნები					
ა)		ბ)		გ)	
დ)		ე)		ვ)	
საერთაშორისო ორგანიზაციის დროშა					
1	2	3	4	5	
					

➤ ინფორმაციის ანალიზი - დავალება № 21-25

ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით მოცემულ ინფორმაციას (ფოტო, ცხრილი, გრაფიკი და სხვ.) და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილზე. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

(2) 21. უპასუხეთ კითხვებს ევროპის კავშირთან დაკავშირებით¹:



(1) 21.1. მოიყვანეთ მაგალითი, რა გავლენა შეიძლება იქონიოს ბრექსიტმა (**Brexit**)² გაერთიანებულ სამეფოზე.

(1) 21.2. მოიყვანეთ მაგალითი, რა გავლენა შეიძლება იქონიოს ბრექსიტმა (**Brexit**) ევროპის კავშირზე.

¹ პირველ და მეორე კითხვაზე პასუხი არ უნდა ეხებოდეს ერთი და იმავე საკითხს. წინააღმდეგ შემთხვევაში დავალება შეფასდება მხოლოდ ერთი ქულით.

² გაერთიანებული სამეფოს ევროპის კავშირიდან გასვლა.

(3) 22. გაანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:

	N რეგიონი	მონაცემები
1	მოსახლეობის რაოდენობა (2019 წლის 1 იანვარი)	18 000 კაცი
2	რეგიონის ფართობი	5 000 კმ ²
3	შობადობის ზოგადი კოეფიციენტი	16 ‰
4	სიკვდილიანობის ზოგადი კოეფიციენტი	18 ‰
5	ემიგრანტი (2019.01.01-დან 2020.01.01-მდე)	250
6	იმიგრანტი (2019.01.01-დან 2020.01.01-მდე)	2 500
7	ურბანიზაციის დონე	79%

(2) 22.1. განსაზღვრეთ, დადებითია თუ უარყოფითი N რეგიონის მოსახლეობის ზრდის ტემპის მაჩვენებელი და ახსენით, რა (რომელი მონაცემი) განაპირობებს ამ შედეგს.

(1) 22.2. რას უტოლდება მოსახლეობის ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი 2019 წელს?

ა) -2 ‰

ბ) -1.12 ‰

გ) 2 ‰

დ) 34‰

(8) 23. გაანალიზეთ მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:

ქვემოთ მოცემულია მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაცია. 2020-2021 წლების მონაცემები ასახავს მსოფლიო ბანკის ექსპერტების პროგნოზს.


ცხრილი 1.

	2017	2018	2019	2020 ¹	2021 ¹
მსოფლიოს ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი	3.3%	3.0%	2.4%	-5.2%	4.2%
ჩინეთის ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი	6.8%	6.6%	6.1%	1.0%	6.9%
აზერბაიჯანის ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი	0.2%	1.5%	2.2%	-2.6%	2.2%
საქართველოს ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი	4.8%	4.8%	5.1%	-4.8%	4.0%
ბრიქს-ში (BRICS-ში) შემავალი ქვეყნების ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი	5.3%	5.3%	4.7%	-1.7%	5.3%
ნავთობის ფასის პროცენტული ცვლილება	23.3%	29.4%	-10.2%	-47.9%	18.8%

გადასვლა დავალების: [მეორე გვერდზე](#), [მესამე გვერდზე](#), [მეოთხე გვერდზე](#).

¹ მოცემულია საპროგნოზო მონაცემები

BRICS



გადასვლა დავალების: პირველ გვერდზე, მესამე გვერდზე, მეოთხე გვერდზე

ცხრილი 2. ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით

	2017	2018	2019	2020 ²	2021 ⁻²
აღმოსავლეთი აზია და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნები	6.5%	6.3%	5.9%	0.5%	6.6%
ევროპა და ცენტრალური აზიის ქვეყნები	4.1%	3.3%	2.2%	-4.7%	3.6%
ლათინური ამერიკა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნები	1.9%	1.7%	0.8%	-7.2%	2.8%
ახლო აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი აფრიკის ქვეყნები	1.1%	0.9%	-0.2%	-4.2%	2.3%
სამხრეთი აზიის ქვეყნები	6.5%	6.5%	4.7%	-2.7%	2.8%
საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკის ქვეყნები	2.6%	2.6%	2.2%	-2.8%	3.1%

გადასვლა დავალების: [პირველ გვერდზე](#), [მეორე გვერდზე](#), [მეოთხე გვერდზე](#)

² მოცემულია საპროგნოზო მონაცემები

(1) **23.1.** რით აიხსნება 2020 წლის ეკონომიკის ზრდის მაჩვენებლის უარყოფითი დინამიკა?

(1) **23.2.** საპროგნოზო მონაცემებით, მსოფლიოს ეკონომიკის ზრდა 2021 წელს იქნება 4,2%. ახსენით, ამ პროგნოზის გათვალისწინებით მსოფლიოს ეკონომიკის მოცულობა 2021 წელს გაუსწრებს, გაუტოლდება, თუ უფრო ნაკლები იქნება 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე?

(1) **23.3.** რომელი ქვეყნები შედიან BRICS-ში?

(2) **23.4.** რით აიხსნება ის გარემოება, რომ საქართველოს ეკონომიკა 2020 წელს 4,8%-ით შემცირდება, ხოლო აზერბაიჯანის მხოლოდ 2,6%-ით (არგუმენტები ცალ-ცალკე განიხილეთ თითოეულ სახელმწიფოსთან მიმართებაში)?

(1) **23.5.** ახსენით, რამ განაპირობა 2020 წელს აღმოსავლეთი აზიისა და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნების რეგიონში მცირედი ეკონომიკური ზრდა, როცა დანარჩენ რეგიონებში პროგნოზირებულია ეკონომიკური ვარდნა.

(2) **23.6.** დაასახელეთ რეგიონი, რომელსაც პროგნოზის მიხედვით 2020 წელს ექნება ყველაზე დიდი ეკონომიკური ვარდნა და რეგიონი, რომელსაც 2021 წლის პროგნოზის მიხედვით ექნება ყველაზე ნაკლები ეკონომიკური ზრდა.

გადასვლა დავალების: [პირველ გვერდზე](#), [მეორე გვერდზე](#), [მესამე გვერდზე](#)

(4) 24. გაანალიზეთ მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:



ეს ჩანჩქერი დასავლეთ ნახევარსფეროში ორი სახელმწიფოს საზღვარზე მდებარეობს. ისტორიაში ჩანჩქერის ორჯერ გაყინვის ფაქტია ცნობილი. 1848 წლის 29 მარტს ჩანჩქერზე უცნაური მოვლენა მოხდა, ჩანჩქერი გაჩერდა. ეს გამოიწვია ძლიერმა ქარმა, რომელმაც ტბაში არსებული ყინული დაძრა. ყინულის მასა ტბიდან მდინარეში გადავიდა და ერთ-ერთი ქალაქის სიახლოვეს მდინარე გადაკეტა. ეს მოვლენა დაახლოებით 30 საათი გაგრძელდა.

(1) 24.1. რომელ ჩანჩქერზეა საუბარი ტექსტში?

(1) 24.2. რომელ ტბაზეა საუბარი ტექსტში?


(1) 24.3. რომელ მდინარეში გადავიდა დაძრული ყინული?

(1) 24.4. რომელი სახელმწიფოების საზღვარზე მდებარეობს ეს ჩანჩქერი?


(9) 25. გაანალიზეთ მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:

ტექსტში აღწერილია მდინარე, რომელიც ჩრდილოეთის ნახევარსფეროს სუბტროპიკულ კლიმატურ სარტყელში მიედინება და ატლანტის ოკეანის აუზს მიეკუთვნება. იგი სათავეს ზღ.დ. 2400 მ-ზე იღებს, აუზის ფართობი 1300 კმ²-ს უტოლდება. მთელი ხეობის გასწვრივ დამახასიათებელია ჭორომები, ორგან გვხვდება მცირე სიმაღლის ჩანჩქერიც. ხეობის ზემოწელის ფერდობები აგებულია ადვილად შლადი ქანებით და ზოგან გვხვდება მეწყერსაშიში ზონები, ხოლო ქვემო წელში გავრცელებულია ჭალის ტყე. წელიწადში მდინარეს 1765 კმ³ წყალი ჩამოაქვს. ხეობის ზოგიერთ მონაკვეთში მდინარის ენერგოპოტენციალი მაღალია.

გადასვლა: [გრაფიკებზე](#) [კითხვებზე](#)



გადასვლა: [ტექსტზე](#) [კითხვებზე](#)



- (1) 25.1. რომელ მონაკვეთზე ექნება მდინარეს ყველაზე დიდი სიჩქარე?
ა) სათავიდან A წერტილამდე; ბ) A და B წერტილებს შორის;
გ) C და D წერტილებს შორის; დ) D წერტილიდან შესართავამდე.
- (1) 25.2. მდინარის აღწერილობიდან გამომდინარე განსაზღვრეთ მდინარის საზრდოობის წყაროები:
I. მიწისქვეშა წყალი II. წვიმის წყალი III. ნადნობი თოვლის წყალი
ა) მხოლოდ I და II; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II და III; დ) I, II და III.
- (1) 25.3. წელიწადის რომელ სეზონზე ფიქსირდება აღნიშნულ მდინარეზე წყალდიდობის პერიოდი?
- (1) 25.4. დაასაბუთეთ, რომ აღწერილი მდინარე სხვა, მასზე უფრო დიდი მდინარის აუზშია მოქცეული.
- (1) 25.5. მდინარის აღწერილობიდან გამომდინარე ახსენით, შესაძლებელია თუ არა აღნიშნულ მდინარეზე ხე-ტყის დაცურება.
- (1) 25.6. გამოთვალეთ მდინარეში წყლის დონის რყევის ამპლიტუდა (აუცილებლად აჩვენეთ გამოთვლის პროცესი).
- (2) 25.7. ტექსტში აღწერილი ინფორმაციიდან გამომდინარე, მეწყერის გარდა, დაასახელეთ სხვა ბუნებრივ-სტიქიური მოვლენა, რომელიც თეორიულად შესაძლებელია განვითარდეს მდინარის ხეობაში. პასუხი დაასაბუთეთ.
- (1) 25.8. რას უდრის მდინარის წლიური ჩამონადენი?

გადასვლა: [ტექსტზე](#) [გრაფიკზე](#)

➤ რუკის ანალიზი - დავალება № 26

ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით მოცემულ ტოპოგრაფიულ რუკას და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილზე. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

(5) 26. თანდართული ტოპოგრაფიული რუკის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

(1) 26.1. დაახლოებით რა აზიმუტით მდებარეობს მდ. ჭკუდზე მდებარე ხიდიდან მდ. თორის შესართავი?

ა) 15°

ბ) 170°

გ) 215°


დ) 352°

(1) 26.2. რუკაზე ნაჩვენები A, B, C, D წერტილებიდან რომლებს ვერ დავინახავთ მდ. ჭკუდზე მდებარე ხიდიდან (დაასახელეთ ყველა სწორი ვარიანტი)?

(1) 26.3. ახსენით, მაქსიმუმ რამდენი მეტრი შეიძლება იყოს მ. ბერას აბსოლუტური სიმაღლე.

(1) 26.4. ახსენით, რატომ არის შეუძლებელი რუკაზე დატანილი ტბა ლურჯის ამგვარი მდებარეობა.

(1) 26.5. ახსენით, რატომ არის შეუძლებელი მდ. თორის მოძრაობა რუკაზე მოცემული დინების მიმართულების აღმნიშვნელი ისრის მიხედვით.





რელიეფი
 ძირითადი ჰორიზონტალები გავლებულია ყოველ 2,5 მეტრში
 ა) ძირითადი ჰორიზონტალები
 ბ) ძირითადი გამსხვილებული ჰორიზონტალები
 გ) დამატებითი ჰორიზონტალები (ნახევრადჰორიზონტალები)
 დ) ჰორიზონტალების სიმაღლის ნიშნულები მ-ში
 ე) კალთის დახრის მანველებლები (ბერგშტრიხები)

სიმაღლის ნიშნულები ა) ძირითადი ბ) ჩვეულებრივი

სიმაღლის ნიშნულები ორიენტირებით

ა) ცალკე მდგომი ქვეები
 ბ) ქვათაგროვა

ყორდანები
 ორმოები

ფლატე (ბექი) (16-ხრამის სიღრმე მ-ში)

ხრამები და ღარტაფები

მცენარეული საფარი და ბრუნტი

წიწვოვანი ტყე

ფართოფოთლოვანი ტყე

შერეული ტყე

ხემცენარეების მახასიათებლები მ-ში: 20-საშუალო სიმაღლე, 0,20-მეტრის საშუალო სისქე, 6-ხეებს შორის საშუალო მანძილი

ტყის ვიწრო ზოლები და დაცვითი ტყის ნარგავები (2- ხეების საშუალო სიმაღლე მ-ში)

ცალკეული კორომები

ორიენტირის მნიშვნელობის მქონე ცალკე მდგომი ხეები: ა) წიწვოვანი ბ) ფართოფოთლოვანი

ახალგაზრდა წიწვოვანი (წერილნაზარდი) ტყე ახალი ტყის ნარგავების სიმაღლე 4 მ-მდე (2- ხეების საშუალო სიმაღლე მ-ში)

ა) ქარქვეული ტყე ბ) მეჩხერი ტყე

ა) განეხილი ტყე ბ) გადამწვარი და ძირზემხმარი ხეები

განაჩეხი ტყეში

4 განაჩეხის სიგანე მ-ში

ბუჩქნარი ა) ცალკე მდგომი ბუჩქები და ბუჩქების დაჯგუფებები; ბ) ხშირი ბუჩქნარი

ა) მდელის მცენარეულობა
 ბ) ლელქაშის და ლერწმის ტიპის საფარი


ხეხილის ბაღი

ქვიშნარი

გაუვალი და ძნელადგასავლელი ჭაობები (0,7-ჭაობის სიღრმე მ-ში)

ადვილადგასავლელი ჭაობები

საბზარო მხელი



ორლიანდაგიანი რკინიგზა, სადგურები

ერთლიანდაგიანი რკინიგზა
 ბაქნები, გზაგასაყარები

მიწაყრილებზე (ა) და ჩაღრმავებებში (ბ) გაყვანილი რკინიგზები (2-სიმაღლე ან სიღრმე მ-ში)
 ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა

გაუმჯობესებული გზატკეცილი (13-დაგებული საფარის სიგანე, 17-მთელი გზის სიგანე სანიღვრეებს შორის მ-ში. ა-საფარის სახეობა) (ა-ასფალტი, ქვ-ქვაფენილი)


გზატკეცილი
 გაუმჯობესებული გრუნტის გზები გასწვრივი მცენარეული ნარგავებით

გრუნტის გზები
 მინდვრის და ტყის გზები

ზამთრის გზები
 ფინხფენილი (ჭაობზე გადასასვლელად)

რკინიგზაზე გადამავალი გზატკეცილები

დასახლებული პუნქტები და მათი წარწერები ცალკეული შემოგზა-ნაბეზობები



საცხოვრებელი და სხვა ტიპის ნაგებობები

გამორჩეულად ცეცხლგამძლე ნაგებობები
 ცალკე მდგომი კარმიდამოები
 ეკლესიები

კვარტლები




ცეცხლგამძლე ნაგებობების სიჭარბით

არაცეცხლგამძლე ნაგებობების სიჭარბით

ქალაქები - 2000-დან 10 000-მდე მცხოვრებით

დაბეები - 2000-ზე ნაკლები მცხოვრებით
 სოფლები 20-დან 1000-მდე სახლების რაოდენობით
 სოფლები 20-ზე ნაკლები სახლით

ცალკეული ადგილობრივი ნაბეზობები



ქარხნები და ფაბრიკები

მოქმედი მალაროები
 სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ადგილები თიხ- მოპოვებული მასალა, 10 - კარიერის სიღრმე მ-ში
 ტორფის მოპოვება

საწვავის საწყობები

რადიოანძები და სატელევიზიო ანძები

წყლის წისკვილები



ქარის წისკვილები

საფუტკრეები


ანძის ტიპის ნაგებობები

მეტყვეის სახლები

სატელეფონო სადგურები

მეტეოროლოგიური სადგურები

ღირშესანიშნავი ძეგლები




სასაფლაოები

კავშირგაბმულობის სახები


ხის საყრდენებიანი ელექტროგადამცემი სახები

ჰიდროგრაფია



მდინარეები, ნაკადულები, ტბები

შრობადი ნაკადები



წყლის კიდის ნიშნულები

ისრები უზენებუნ მდინარის დინების მიმართულებას (0,4-დინების სიჩქარე მ/წმ)

მდინარეების მახასიათებლები: 285-სიგანე და 4,8 სიღრმე მ-ში; ქ - ფსკერის გრუნტის ტიპი

ფონები და მათი მახასიათებლები: 0,5 სიღრმე და 17 სიგრძე მ-ში, ქ-ფსკერის გრუნტის ტიპი, 0,1 - დინების სიჩქარე მ/წმ

ბორნები: 285 - მდინარის სიგანე, 5X4-ბორნის ზომები მეტრებში, 5 - ტვირთამწეობა ტონებში

ხის ხიდები
 რკინის ხიდები
 ქვის და რკინაბეტონის ხიდები


ხიდების მახასიათებლები: ქვა-სამშენებლო მასალა, 8 სიმაღლე წყლის დონიდან, 170 - ხიდის სიგრძე, 8 -სავალი ნაწილის სიგანე მ-ში, 50 - ტვირთამწეობა ტონებში

სანაპირო სამდინარო სივრცეების მუდმივი ნიშნულები
 ნავსაყუდელი
 კაშხლები

ტყეები

ქარის ძრავიანი ტყეები

წყაროები



სახელმწიფო გეოდეზიური ქსელის პუნქტები იგივე ნიშნულები ყორდანებზე

ტოპოგრაფიულ რუკაზე მიღებული შემოკლებები

ა	ასფალტი	აქ	აგურის ქარხანა
ჟ	ჯიხური	ფქ	ფქვილის ქარხანა
რქ.	რიყის ქვა	ტბრ	ტბორი
არყ.	არყის ხე	პრ.	პროექტორის ანძა
ფიჭ.	ფიჭვის ხე	წყ	წყარო
ნად.	ნაძვის ხე	სს	სასოფლო საკრებულო
წსწ.	წყალსაქანი	მე	მეარი
თიხ	თიხა	კრამ.	კრამიტის ქარხანა
სჭ	საორიენტა-ციო ჭა	სკ.	სკოლა
ყაზ.	ყაზარმა	ლ.	ლამი
		ნახ	ქვანახშირი